

## საქართველოს კანონი

### „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4, 18.01.2006, მუხ. 30) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები;

1. კანონის მე-3 მუხლის „ჭ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
ჭ) მწარმოებელი – პროდუქციის დამამზადებელი ან სხვა პირი, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დამამზადებლად პროდუქციისათვის თავისი სახელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის მინიჭებით.

2. კანონის მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„მუხლი 14. სურსათის მწარმოებელ საწარმოდ რეგისტრაცია პირი სურსათის მწარმოებელ საწარმოდ რეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და წესის მიხედვით

3. კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ ვრცელდება „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მცირე საწარმოებზე. ასევე გლეხურ/ფერმერულ/კუსტარულ წარმოებაზე და პირველად წარმოებაზე

4. კანონის 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 22. ინსპექტირება  
უფლებამოსილი პირი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ამოწმებს:

ა) სურსათისა და ცხოველის საკვების წარმოების ადგილის, საწარმოს, ოფისების, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობასა და გამოყენების პირობებს;

ბ) ნედლეულს, ინგრედიენტებს, ნახევარფაბრიკატებს, ტექნოლოგიურ საშუალებებსა და სხვა პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენება სურსათისა და ცხოველთა საკვების დასამზადებლად და საწარმოებლად, საბოლოო

სასურსათო პროდუქტსა და ცხოველის საკვებს, მასალებსა და საგნებს, რომლებიც კონტაქტში შედიან სურსათთან;

გ) სარეცხ და სადუზინფექციო საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ სურსათისა და ცხოველთა საკვების მწარმოებლები/დისტრიბუტორები თავიანთი ბიზნესის წარმოებისას;

დ) სურსათის ან ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებსა და სურსათის ეტიკეტირებას.

5. კანონის 36-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„8. მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემების დანერგვა განხორციელდეს მე-14 მუხლის მიხედვით დარეგისტრირებული საწარმოებისთვის შემდეგ ვადებში:

ა) ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებულ სურსათის მწარმოებელ საწარმოებში 2011 წლის 1 იანვრიდან .

ბ) მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ საწარმოებში, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა 2013 წლის 1 იანვრიდან

გ) ყველა სხვა სურსათის მწარმოებელ საწარმოში 2015 წლის 1 იანვრიდან

დ) ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოებში 2017 წლის 1 იანვრიდან.“

6. ამოღებულ იქნას კანონის 36-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები;

7. 36<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-14 მუხლი ამოქმედდეს [2010 წლის 30 იანვრიდან“;

8. 36<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1<sup>1</sup> ამ კანონის 22-ე, 23-ე და 30-ე მუხლების ამოქმედება კანონის მე-14 მუხლის მიხედვით დარეგისტრირებული საწარმოებისთვის დაიწყო :

ა) ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებული სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის 2011 წლიდან არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა;

ბ) მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა 2013 წლიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა;

გ) ყველა სხვა სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის 2015 წლიდან არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა;

დ) ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისთვის 2017 წლიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე“

9. 36<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს 2<sup>1</sup> პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2<sup>1</sup>. 2010 წლის 30 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს სურსათის მწარმოებელ საწარმოდ რეგისტრაციისთვის შესაბამისი წესის და პირობების შემუშავება.

10. 36<sup>1</sup> მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3<sup>1</sup>. საწარმოებისთვის ამ კანონით გათვალისწინებული 22-ე, 23-ე და 30-ე მუხლების ამოქმედებამდე, სახელმწიფო კონტროლი შეიძლება განხორციელდეს მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე მის საკუთარ პროდუქციაზე.“

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*